საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

თამარ ალფაიძის
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	16	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	78	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი : 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამათლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		დასაბუთება
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ თამარ ალფაიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას კეთილსინდისიერ, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებად ახასიათებენ კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსნად, კეთილსინდისიერად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც დაკავშირებულია მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებასა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის შევსებასთან, კერძოდ: კანდიდატს არ ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და მისი საკრედიტო ისტორია დადებითია. ქონებრივ დეკლარაციაში ასახული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) შესაბამისობაშია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან. შსს შესაბამისი სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კანდიდატს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის მრავალრიცხოვანი (23 სამართალდარღვევა) ფაქტი უფიქსირდება, თუმცა ამ დარღვევებისათვის დადგენილი სახდელები სრულად და დროულად აქვს გადახდილი. აქვე ყურადსაღებია ის გარემოება, რაც კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით გამოვლინდა, კერძოდ: თ. ალფაიძის მიმართ საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა დისციპლინური გადაცდომისთვის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრა სხვადასხვა დისციპლინური სახდელები: -რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით მიეცა შენიშვნა საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო; -რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება; -რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მიეცა შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; -რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით მიეცა გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო. ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯერების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი სამსახურეობრივი და სხვა მოვალეობებისადმი (როგორიცაა საგზაო მოძრაობის წესების რეგულარულად დაცვა) ნაკლებად იჩენს კორექტულობასა და სიზუსტეს და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:** საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებლად, ობიექტურად, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ასევე რეკომენდატორები უთითებენ, რომ თამარ ალფაიძე არ ექცევა სხვადახვა ზეგავლენის ქვეშ, დამოუკიდებელი და სამართლიანია. ვლინდება, რომ კანდიდატს გამოარჩევენ პრინციპულობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით,

		სიმტკიცით, შეუვალობით. თ. ალფაიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. კანდიდატმა ერთხელ მიიღო მონაწილეობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით. ვთვლი, რომ იგი თავისუფალია რაიმე სახის პოლიტიკური მიკერძოებისაგან, ასევე სხვა სახის დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისაგან, რაც მაფიქრებინებს, რომ კანდიდატს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების სათანადო უნარი და შეუძლია გამოიჩინოს ზეგავლენის მიმართ მედეგობა. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატი თავდაჭერილია, ზრდილობიანი და კორექტულია. ავლენს ემოციების მართვის უნარს, თუმცა გასაუბრების მსვლელობისას რამდენჯერმე თავად აღნიშნა მომეტებული შინაგანი ღელვის თაობაზე. რეკომენდატორების მითითებით, ის მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნებაა. კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იგი მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი სასამართლო დავაში არ ყოფილა. თუმცა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატი იყო მოპასუხე სამოქალაქო საქმეში: დავის საგანს წარმოადგენდა თანხის გადახდის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. კანდიდატის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. არც დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, საგზაო მოძრაობის წესების

		დარღვევისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება კეთილსინდისიერი იურისტის სტატუსს. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ თამარ ალფაიძეს საზოგადოებასა და პროფესიულ წრეში აქვს მაღალი ავტორიტეტი და კარგი რეპუტაცია. რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადგენილი ფაქტი, ან ობიექტური გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

		5. ფინანსური ვალდებულება: მართალია თამარ ალფაიძე არ წარმოადგენს სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს, თუმცა ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მის შეფასებას ვახორციელებ ამ მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასების მსგავსად - ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით ისე, როგორც ეს რეგლამენტირებულია ამავე კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი (2849 კვ.მ), ვანის რ-ნი, სოფ. ფერეთა; იგი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ინდ.მეწარმედ. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა მომავალში, მისი მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში საფრთხე შეუქმნას კანდიდატის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის მახასიათებლებს, 36^3 მუხლის გათვალისწინებით. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების

			კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**25**	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, ასევე მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობით. საჯარო გასაუბრებისას თამარ ალფაიძემ უმეტესწილად გამოავლინა სამართლის ნორმების შესაბამისი ცოდნა, ისაუბრა სამართლის პრინციპებზე, კონსტიტუციაზე, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, თუმცა რამდენიმე სამართლებრივ საკითხზე კანდიდატის პასუხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგალითად: კანდიდატმა დასაშვებად მიიჩნია ღირსების ხელყოფა, თუ ერთი პირის ღირსების დაცვით ილახება მეორე პირის ღირსება (მაშინ როდესაც ღირსება აბსოლიტური უფლებაა). კანდიდატმა ვერ განმარტა სამეწარმეო სამართალში მოქმედი გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი. ასევე ვერ განმარტა პოლიტიკური თანამდებობის პირისა და საჯარო მოხელის სხვაობის არსი, მას მიაჩნია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები (პარლამენტარები) არიან საჯარო მოხელეები. განმარტა, რომ საჯარო მოხელეს აქციაზე წასვლით შეექმნება თანამდებობრივი პრობლემები. ასევე კანდიდატმა ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდე" (მითუფრო, როცა კანდიდატი სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა მედია/კომუნიკაციების სამართლის მიმართულებით) და სხვა. კანდიდატმა წარმოადგინა მისი 3 სამართლებრივი პუბლიკაცია: -„ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები"; - „ინტერნეტი და მისი

			სამართლებრივი რეგულირება"; - „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება". ვლინდება, რომ კანდიდატი მეტნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, თუმცა ნაკლებად ვლინდება საკუთარ საქმიანობაში მათი წარმატებით გამოყენების სათანადო დონე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4,,ა" პუნქტის ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 16 (თექვსმეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობით და მისი პროფესიული გამოცდილების გაცნობით. კანდიდატმა წარმოადგინა სამი სამართლებრივი პუბლიკაცია: „ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები"; „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება"; „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება". სამართლებრივ პუბლიკაციებში თეორიული მსჯელობა თანმიმდევრულად და გასაგებად არის განვითარებული, წარმოჩენილია ავტორის თვალთახედვით მნიშვნელოვნად მიჩნეული და პრობლემატური საკითხები, ჩამოყალიბებულია ლოგიკური დასკვნები (თუმცა პრაქტიკული გამოყენების პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ნაკლებად ქმნის ეფექტიანობის შთაბეჭდილებას). საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა ძირითადად გამოავლინა ანალიტიკური აზროვნობის უნარი, თუმცა გარკვეულ საკითხებზე მისი მსჯელობა არ იყო ბოლომდე დამაკმაყოფილებელი და ამომწურავი, რაც ასახულია ზემოთ სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასების დასაბუთების გრაფაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიის მიხედვით მას აქვს 21 წელზე მეტი დროის პროფესიული გამოცდილება (ძირითადად სხვადასხვა

			სასწავლო დაწესებულებებში სალექციო მიმართულებით). ამჟამად არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 20 (ოცი) ქულით.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**	კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობითა და რეკომენდატორების მოსაზრებებით. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, შრომისმოყვარეობას, თავისუფალი აზროვნების სტილს,. ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სხვადასხვა სამართლებრივი ნაშრომის ავტორი. წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ წერისას კანდიდატი აზრს ნათლად, თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოსცემს. მათში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ იკვეთება. კანდიდატმა აგრეთვე გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. იგი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. მიღებული ინფორმაციის შედეგად ვლინდება, რომ კანდიდატს, როგორც წერის ისე ვერბალური კომუნიკაციისას მეტწილად აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს

			და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები	12	15	კანდიდატის პროფესიული თვისებების შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათების გაცნობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი. არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა. საჯარო მოსმენისა და მიღებული ინფორმაციების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კომპეტენტური, ახასიათებს შრომისმოყვარეობა, პუნქტუალური და მიზანდასახულია, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების და ანალიზის უნარი. აქვს გუნდურად მუშაობის გამოცდილება და შესწევს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებების'' კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 12 (თორმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი. კანდიდატმა გაიარა შემდეგი სასწავლო კურსები: - ,,ადამიანის საერთაშორისო უფლებები", The Universite Catholique de Louvain; - International Human Rights - University de Catolique; - Leaders of Learning - ჰარვარდის უნივერსიტეტი და სხვა. იგი ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე

			დაკვირვებით ჩანს, რომ ის ღიაა სიახლეების მიმართ, არის შრომისმოყვარე და გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ფლობს შესაბამის საოფისე კულტურას, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, თუმცა კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად ნაკლებად იკვეთება მათი პრაქტიკაში რეალიზების გამოვლინება. კანდიდატის მიერ სხვა პროფესიული საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების (მაგ.: სამოსამართლო, პროკურატურის, ან ადვოკატურის) შესახებ, რაიმე ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 9 (ცხრა) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. თამარ ალფაიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: სასწავლო კურსის შეფასება; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; - Training on Media Regulation; European Union; - International Conference on Media Law და ა.შ. კანდიდატი 2016 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (პროფესორი). - სალექციო კურსის ავტორი: სამართალმცოდნეობის შესავალი; საკანონმდებლო ტექნიკა; მედია სამართალი და თვით რეგულირება; კონსტიტუციური სამართალი; ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება; იგი არის რამოდენიმე სამართლებრივი წიგნის ავტორი/თანაავტორი: - „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები"; თსუ, 2006; - „მედია სამართალი", 2008; - „შესავალი სამართალმცოდნეობაში", 2009; - „სამართალმცოდნეობის შესავალი" (მეორე

			გამოცემა), 2015. კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ კანდიდატს მეტწილად შესწევს ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები და იგი შესაბამისი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის'' კრიტერიუმში თამარ ალფაიძე უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
ქულათა ჯამი	78	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.